ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

2018 წლის 18 მაისი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად ვადასტურებ, რომ 2018 წლის 11 მაისს გაფორმებული N2018/67 ხელშეკრულების ფარგლებში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საჭიროებისათვის ბალტიისპირეთის და შავი ზღვის რეგიონების ქვეყნების კონსტიტუციური მართლმსაჯულების ასოციაციის (BBCJ) მე-3 კონგრესთან დაკავშირებით თარჯიმნის მომსახურების მიღების მიზნით გასაფორმებელ მიღება-ჩაბარების აქტთან და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლის (ინსპექტირების) განხორციელებასთან დაკავშირებით, სსიპ ,,საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა თარგმნის ბიურო“-სთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი /მ. ჯოჯუა/

ინსპექტირების განმახორციელებელი პირი /ი. ხახუტაიშვილი/

ინსპექტირების განმახორციელებელი პირი /ე. მჟავანაძე/

ინსპექტირების დასკვნა

18 მაისი 2018 წ.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსმა და ამავე დეპარტამენტის მთავარმა მრჩეველმა განვახორციელეთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და სსიპ „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა თარგმნის ბიურო“-ს შორის 2018 წლის 11 მაისს გაფორმებული N2018/67 სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება), კერძოდ:

- საკონსტიტუციო სასამართლოს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსმა - ირინა ხახუტაიშვილმა და ამავე დეპარტამენტის მთავარმა მრჩეველმა - ეკატერინე მჟავანაძემ განვახორციელეთ სსიპ „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა თარგმნის ბიურო“-ს მიერ 2018 წლის 16 და 17 მაისს გაწეული მომსახურების ხარისხის, მისი მოცულობისა და მომსახურების გაწევის ვადების კონტროლი და დავასკვენით, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი და მისი მოცულობა შეესაბამება ხელშეკრულებით განსაზღვრულს და მომსახურება გაწეულია ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში.

ინსპექტირების განმახორციელებელი პირები:

საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსი /ი. ხახუტაიშვილი/

საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის მთავარი მრჩეველი /ე. მჟავანაძე/

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო

მიღება-ჩაბარების აქტი N2018/67

ქ. ბათუმი

18 მაისი 2018 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, წარმოდგენილი მისი ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილის, მერაბ ჯოჯუას სახით და მეორეს მხრივ, ,,მიმწოდებელი"

სსიპ ,,საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა თარგმნის ბიურო"

(ორგანიზაციის დასახელება)

ნიკოლოზ მემანიშვილი

(დირექტორი)

ვადგენთ წინამდებარე აქტს მასზედ, რომ მხარეთა შორის 2018 წლის 11 მაისს გაფორმებული N2018/67 ხელშეკრულების ფარგლებში და 2018 წლის 18 მაისის ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე, ხელშეკრულების პირობების დაცვით, ,,მიმწოდებელმა" საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საჭიროებისათვის ბალტიისპირეთის და შავი ზღვის რეგიონების ქვეყნების კონსტიტუციური მართლმსაჯულების ასოციაციის (BBCJ) მე-3 კონგრესთან დაკავშირებით 2018 წლის 16 და 17 მაისს უზრუნველყო თარჯიმნის მომსახურების გაწევა, ღირებულებით - 9912.00 (ცხრაათას ცხრაას თორმეტი) ლარი.

სახელშეკრულებო თანხა შეადგენს	9912.00 (ცხრაათას ცხრაას თორმეტი) ლარს.
	(თანხა ციფრით და სიტყვიერად)
მომსახურების ღირებულება შეადგენს	9912.00 (ცხრაათას ცხრაას თორმეტი) ლარს.
	(თანხა ციფრით და სიტყვიერად)
ნაზარდი ჯამით შესრულებულია	9912.00 (ცხრაათას ცხრაას თორმეტი) ლარი.
	(თანხა ციფრით და სიტყვიერად)

ჩააბარა:

სსიპ ,,საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა თარგმნის ბიურო"-ს დირექტორი /ნ. მემანიშვილი/

მიიღო:

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე /მ. ჯოჯუა/